დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის
2025 წლის 31 იანვრის N 1460 ბრძანებით

ხარისხის სისტემის ანალიზი
ნდ №2-02-08 ქ

ბათუმი
2025

სარჩევი

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის დახასიათება 3
ხარისხის მართვის სისტემა 4
სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 5
ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი 5
საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები 6
ინფრასტრუქტურა 7
სსსც ეკვატორის მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა აუდიტი 8
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგი 9
სასერტიფიკატო ორგანოს სამეთვალყურეო აუდიტი 11
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური მონიტორინგი 11
2023-2024 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები 13
დიპლომირება 14
მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი 14
აღიარებული მოდელ -კურსების რეესტრი 14
ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა მომსახურება 15
ბიბლიოთეკა 16
საქმისწარმოება 17
2024 წლის ხარისხის მიზნების შესრულების ანალიზი 17
კვლევები 18
ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი: 18
პროფესიული სტუდენტების კითხვარი: 19
პროფესიული მასწავლებლების კითხვარი: 20
კურსდამთავრებულთა კითხვარი: 21
საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა კითხვარი: 21
საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორთა კითხვარი: 22
ხარისხის მართვის სისტემის საქმიანობის შეფასება: 22
დამსაქმებლის კითხვარი: 23
მოწყლებლების შეფასება: 23
2024 წლის რისკების შეფასება 24
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები 24
გამომავალი მონაცემები 26
კონფიდენციალურობა 26

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის დახასიათება

დასახელება	სსსც „ეკვატორის “ხარისხის მართვის სისტემის ანალიზი
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის მენეჯერი
შემსრულებლები	- ხარისხის მენეჯერი; - ხარისხის მართვის სპეციალისტი
მიზანი	ხარისხის მენეჯმენტის სისტემის (ხმს) ანალიზის მიზანია სსსც „ეკვატორის“ საქმიანობისა და რესურსების ეფექტიანი და უწყვეტი შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესი მიმართულია როგორც უკვე მიღწეული შედეგების ანალიზზე, ასევე გაუმჯობესების მიმართულებების იდენტიფიცირებაზე, რაც ხელს უწყობს სისტემის სტაბილურობასა და მუდმივ განვითარებას.
აღწერა	ხმს-ის ანალიზის ანგარიში წარმოადგენს შიდა ინსტრუმენტს, რომელიც: • უზრუნველყოფს პროცესების შეფასებასა და მიზნების მიღწევის ანალიზს; • წარმოადგენს საფუძველს სტრატეგიული და ტაქტიკური განვითარების გეგმების შესამუშავებლად; • ხელს უწყობს ორგანიზაციის მართვის პროცესის გაძლიერებას; • აღძრავს გადაწყვეტილებების მიღებას სისტემის მოდიფიცირებისა და გაუმჯობესების მიზნით; • უზრუნველყოფს შესაბამისი რესურსების მობილიზებას ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისთვის; • უწყობს ხელს მიმდინარე პროცესების პროდუქტიულობის ზრდას, მომხმარებელთა კმაყოფილების გაუმჯობესებასა და მარეგულირებელი მოთხოვნების ეფექტურ იმპლემენტაციას; • უზრუნველყოფს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის შენარჩუნებას და განვითარებას.
ანგარიშის შინაარსი	• დაწესებულების მიმდინარე პროცესების მიმოხილვას; • შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენის შეფასებას; • შედეგების ანალიზსა და შემაჯამებელ შეფასებას; • განვითარების პერსპექტივებისა და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას.
ამოცანები	• ხარისხის მართვის სისტემის ეფექტური და უწყვეტი ფუნქციონირების დამტკიცება; • მომხმარებლის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ხმს-ის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველყოფა; • დაწესებულების ხარისხის პოლიტიკისა და მიზნების შესაბამისობის დადგენა ISO 9001:2015 საერთაშორისო სტანდარტთან; • შესაბამისობის შეფასება მარეგულირებელი ორგანოების (სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვ.) მოთხოვნებთან, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებთან.

	• ანგარიში ასახავს მიმდინარე პროცესებს, მათზე შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენას, მიღწეულ შედეგებს და შემაჯამებელ შეფასებას. საინფორმაციო და ანალიტიკური ანგარიშები მოიცავს დაწესებულების ყველა მიმართულებას.
შემომავალი მონაცემები	• განხორციელებული კვლევების შედეგები; • წინა პერიოდის ანალიზის ანგარიში; • ხმს-ის შიდა აუდიტების შედეგები; • გატარებული შიდა ღონისძიებების შეფასება; • სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ჩატარებული აუდიტების დასკვნები; • მესამე მხარის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგები; • პროცესების შეფასება და ანალიზი (მათ შორის, პსდ პროცესები); • ფუნდამენტური პროცესების შენარჩუნების მონიტორინგი; • ყოველდღიური საქმიანობისას გამოვლენილი შეუსაბამობების ანალიზი; • ნორმატიული დოკუმენტების სრულყოფილება ხმს-ის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.
გამომავალი დოკუმენტები	• ხმს-ის ანალიზის შემაჯამებელი ანგარიში • ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები (ბრძანებები, განკარგულებები), რომლებიც ემსახურება ხმის გაუმჯობესებას
შედეგიანობის კრიტერიუმები	• ხარისხის დარგში განსაზღვრული მიზნების მიღწევა • მიმდინარე პროცესების ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდა • მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლება • რეგულაციების შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესება
ანგარიშის შინაარსი	• მიმდინარე პროცესების აღწერა; • შიდა და გარე ფაქტორების გავლენა; • მიღწეული შედეგების ანალიზი; • შემაჯამებელი შეფასება; • გასაუმჯობესებელი მიმართულებების გამოვლენა.

ხარისხის მართვის სისტემა

„სსსც ეკვატორში“ მიმდინარე პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის, ხარისხის მართვის სამსახური თანამშრომლობდა კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან / პროცესზე პასუხისმგებელ პირთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან / მსმენელბთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სამსახურმა უზრუნველყო არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და კოლეჯში მოქმედი რეგულაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით კოლეჯში დანერგილი საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახურმა, როგორც პასუხისმგებელმა ხარისხის დარგში პოლიტიკის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე, განახორციელა შიდა აუდიტები სტრუქტურულ ერთეულებში, რომელიც ასევე პასუხისმგებელია აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულებაზე, კონტროლზე და ანგარიშგებითი დოკუმენტაციის მომზადებაზე.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

სტრატეგიული გეგმის შესაბამისად სასწავლებლის მიერ იდენტიფიცირებულია ექვსი ძირითადი სტრატეგიული მიზანი:

სტრატეგიული მიზანი№1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი№2. პროფესიული საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება / განხორციელება;

სტრატეგიული მიზანი№3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პერმანენტული განვითარება;

სტრატეგიული მიზანი№4. სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება-განვითარება;

სტრატეგიული მიზანი№5. დაწესებულების ორგანიზაციული განვითარება და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი№6. საზღვაო სფეროს ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე ორიენტირება;

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე დაწესებულებამ შეიმუშავა 2024 წლის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით განისაზღვრა 14 შესასრულებელი ამოცანა და მასში შემავალი 42 აქტივობა, შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი ხდებოდა კვარტალში ერთხელ. სამოქმედო გეგმა შესრულდა **97 %**-ით. არ შესრულებულა მხოლოდ ერთი ამოცანა *''პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების /მოდელ კურსების განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურის დადგენა, მოძიება, შეძენა'.* საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკარისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეული მოდულების საჭირო სასწავლო რეესტრის გაკეთება და გადამოწმება ბიბლიოთეკაში. პროგრამებით გათვალისწინებული ყველა საჭირო რესურსი უკვე შეძენილი აქვს დაწესებულებას. 2024 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გაიზარდა მხოლოდ **2%**-ით. აღნიშნული ამოცანა კვლავ აქტუალური იქნება 2025 წლის სამოქმედო გეგმით, ვინაიდან დაწესებულებაში იქნება განახლებული პროგრამები შეცვლილი სასწავლო რესურსით.

ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი

2024 წელს გადაიხედა ''სსსც ეკვატორის'' ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, სადაც არ იყო გათალისწინებული ექიმის პოზიცია, თუმცა დებულებასა და სტრუქტურულ/საშტატო ერთეულებში ექიმის პოზიცია არის მითითებული. 13.12.2024 დირექტორის N 21155 ბრძანებით დამტკიცდა განახლებული სტრუქტურული სქემა.



2024 წელს პერსონალს დაემატა 11 ახალი თანამშრომელი:

- პროფესიული განათლების მასწავლებელი - 3.
- საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორი - 7.
- ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციაზე - 1.



* *რიგ შემთხვევებში 1 პერსონალი ემსახურება როგორც პროფესიულ პროგრამებს, ასევე სასერტიფიკატო კურსებს.*

საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები

2024 წელს განახლდა „სსსც ეკვატორის“ ნორმატიული ბაზა, მათ შორის შეიცვალა 9 ნორმატიული დოკუმენტი, რაც ხმს საერთო დოკუმენტების 21 % შეადგენს.

საერთო ნორმატიული ბაზის განახლება		
№	დასახელება	თარიღი
1	შპს სსსც ეკვატორის საქმისწარმოების წესი (2-01-05)	20.06.2024
2	შპს სსსც ეკვატორში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (2-01-10)	01.03.2024
3	ორგანიზაციის კონტექსტი (2-02-03)	26.01.2024
4	ხარისხის სისტემის ანალიზი (2-02-08)	26.01.2024
5	შპს ‘’სსსც ეკვატორის’’ ორგანიზაციის სტრურქტურა (2-02-12)	13.12.2024
6	ხარისხის პოლიტიკა და მიზნები (2-02-13)	26.01.2024
7	რისკების რეესტრი (2-02-15)	05.02.2024
8	შიდა და გარე მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებისა და მოქმედ ფორმათა ფონდის ჩამონათვალი (2-02-16)	2024 წ
9	საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (2-08-06)	27.09.2024

ვინაიდან 2025 წელი კოლეჯის რეავტორიზაციის წელია, ნორმატიული დოკუმენტების გადახედვა, დახვეწა, ტექნიკური შესწორება და სრულყოფაში მოყვანა კვლავაც აქტუალური ამოცანა იქნება.

ინფრასტრუქტურა

დაწესებულებამ 2019 წელს ავტორიზაცია გაირა მისამართზე: ბათუმი, შავშეთის ქ. N33 და ბათუმგორის ჩიხი N2 იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე.

შავშეთის ქ. N33 –ში მდებარე შენობის ფართიდან კოლეჯს აღებული ჰქონდა 673 კვ.მ. ფართი. დღეისათვის, კოლეჯის ფართი გაიზარდა 653.18 კვ.მ–ით (პირველი სართულის იჯარით აღების და სრულად აღჭურვის საფუძველზე) და გახდა 1326,18 კვ.მ. ასევე, კოლეჯს იჯარით აღებული აქვს 300 კვ.მ ფართი მისამართზე – ბათუმი, ბათუმგორის ჩიხი N2, სადაც განთავსებული და შესაბამისად, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, სამღებრო საქმის მოდულის სახელოსნო.

კოლეჯს მფლობელობაში აქვს 12 პროექტორი (6 პროექტორი იყო 2019 წელს),11 ასლგადამღები/პრინტერი, და 62 კომპიუტერი (32 კომპიუტერი იყო 2019 წელს) აქედან 5 კომპიუტერი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, B გარემოში–30 (2კომპიუტერული კლასი) პროფესიული სტუდენტებისთვის და 2 (1-1) კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის), 5 დამატებითი მონიტორი (შეძენილია 2024 წელს). ადმინისტრაცია იყენებს 10 კომპიუტერს; დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს არა მარტო პროგრამით დადგენილ პირობებს, არამედ საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს. სასწავლო აუდიტორიები და ასევე C გარემო აღჭურვილია მოდულების შესაბამისად ბოლო მოდელის საწვრთნელი ტრენაჟორებით და მოწყობილობებით.

დაწესებულების საკუთრებაშია: კეთილმოწყობილი სასწავლო კორპუსი, საერთაშორისო საზღვაო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ტრენაჟორები, როგორიცაა სამაშველო ტივი, კაპიტნის ხიდურის სიმულატორი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი, 50 პირზე გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის რეგულარული შემოწმება ხდება საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.

კოლეჯი ყურადღებით ეკიდება პერსონალის მოზიდვისა და მათი სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის საკითხს, განსაკუთრებით ეს ეხება პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვას, რისთვისაც დაწესებულება სისტემატურად უზრუნველყოფს მათ საჭირო სამუშაო შეხვედრებითა და ტრენინგებით.

საგანმანათლებლო პროგრამების მდგარდობის მიზნით, 23 აგვისტოს ‘‘სსსც ეკვატორმა’’ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (N7/07) სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან. მემორანდუმი გულისხმობს სსსც ეკვატორის კოლეჯის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის და გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა (არაუმეტეს 280 პროფესიული სტუდენტი) საწარმოო პრაქტიკის და პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტების გავლას აკადემიის ბაზებზე.

პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან, შპს „ლმნტ“ -თან და შპს „სენდ“ -თან. სამივე პარტნიორი ორგანიზაცია სრულად უზრუნველყოფს პროგრამის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკას.

სსსც ეკვატორის მიერ ჩატარებული ხმს-ის შიდა აუდიტი

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობაში, განხორციელდა შიდა აუდიტი, რომელიც მოიცავდა დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ერთეულს. აუდიტის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების საფუძველზე, ხარისხის მენეჯერმა, სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, მოამზადა ანგარიში, რომელშიც ასახულია იდენტიფიცირებული შეუსაბამობები და შესაბამისი რეკომენდაციები.

2024 წლის 19-20 დეკემბერს სტრუქტურულ ერთეულებში ჩატარებული გეგმიური შიდა აუდიტის დროს, აუდიტორების მიერ შემოწმდა დაწესებულების საქმიანობა დაწესებულების მიერ დადგენილი შიდა მექანიზმებისა და ISO 9001:2015 სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. შიდა აუდიტი ჩატარდა წინასწარ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად და გამოვლინდა: 1 შეუსაბამობა, 4 შენიშვნა, 3 რეკომენდაცია.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ყველა შეუსაბამობა, შენიშვნა და რეკომენდაცია სრულად **აღმოფხვრილი და გათვალისწინებულია.**

შეუსაბამობა	1. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერმა ვერ წარმოადგინა მიმდინარე მოდულების „გემის ტექნიკური მომსახურება“ და „მექანიზმების ტექნიკური მომსახურება/რემონტი“ საჭირო მასალის მოთხოვნა/შეძენის დამადასტურებელი მტკიცებულება.
შენიშვნა	1. შემოწმდა კვალიფიკაციამინიჭებული სტუდენტების პირადი საქმე. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ სტუდენტზე გაიცემა დიპლომი და დიპლომის დანართი. შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ დიპლომის დანართის შედგენისას დარღვეულია დანართის წარმოების წესი. 2. შემოწმდა მიმდინარე სასწავლო წლის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის წესი და პირობები. წარმოდგენილია ვალიდაციის დასკვნა, თუმცა შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებისას გამოვლინდა, რომ შეფასების მიმართულება და შეფასების მეთოდი არ ემთხვევა მოდულით გათვალისწინებულ სტანდარტულ ჩანაწერს, შეფასების ინსტრუმენტში ზოგ შემთხვევაში მოცემულია დამატებითი პირობები ზოგ შემთხვევაშ კი აღნიშნული ჩანაწერი არ არსებობ. 3. პირად საქმეში ინახება ვადაგასული პირადი მოწმობის ასლები.
რეკომენდაცია	1. რეკომენდირებულია გადაიხედოს და დაიხვეწოს პერსონალის სამუშაო აღწერილობები. 2. შემოწმდა ინსტრუქტორთა ურთიერთდასწრების გეგმა (მფ-2-№11-04-15.03.22); ურთიერთდასწრების ფურცლები (მფ-2-№10-04-15.03.22); ინსტრუქტორთა ურთიერთდასწრების ფურცლებზე ხშირ შემთხვევაში ინსტრუქტორები თავს არიდებენ განმავითარებელი შენიშვნა/რეკომენდაციის გაცემას. თითქმის ყველა შემფასებელი იმეორებს „არ საჭიროებს რეკომენდაციას“. **უმჯობესია** ინსტრუქტორებმა რეკომენდაციის ნაწილში გამოკვეთონ საჭიროებები, რაც ხარისხის აღმწერი რეგულაციების (დაგემე-განახორციელე-შეამოწმე-შეაფასე) მნიშვნელოვანი ნაწილია. 3. „საწვრთნელი აღჭურვილობის შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი“ (2-04-06) შევსებულია, თუმცა რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული შემოწმებული დანადგარის სახელწოდება.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მონიტორინგი

2024 წლის 15 ნოემბერს, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ განხორციელდა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორში ყოველწლიური, გეგმიური მონიტორინგი. დაწესებულებაში მუშაობდა აუდიტთა ორი ჯგუფი, რომლებმაც ცალკეულად შეამოწმეს: საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების პროცესები და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები. შემოწმდა დაწესებულების პროცესები, შიდა ნორმატიული დოკუმენტაცია, მოქმედი ხარისხის მართვის სისტემა, ინფრასტრუქტურა, მოქმედი საწვრთნელი მოწყობილობები, საწვრთნელი კურსებისათვის გახარჯული საჭირო მასალების აღრიცხვის დოკუმენტაცია, ინსტრუქტორთა/ პროფესიულ პედაგოგთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად მათი პირადი საქმეები და ასევე საწვრთნელი კურსების/პროფესიული პროგრამების მატერიალური რესურსები.

აუდიტის შედეგად საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებაში გამოვლენილია **3** შენიშვნა და **3** რეკომენდაცია. გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელი ქმედება, შესრულების ვადები და შესრულების სტატუსი განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ მოდულზე. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ყველა შეუსაბამობა, შენიშვნა და რეკომენდაცია სრულად **აღმოფხვრილი და გათვალისწინებულია.**

შენიშვნა	დაწესებულებას გააჩნია გამოკითხვის ონლაინ პლატფორმა, სადაც მსმენელი აფასებს დაწესებულების მომსახურეობას და ასევე წვრთნის ინსტრუქტორებს. აღნიშნული გამოკითხვა არ იძლევა სრულ შესაძლებლობას ინსტრუქტორის შესაფასებლად, რადგან არ ჩანს გამოკითხვაში ინსტრუქტორის ძლიერი და სუსტი მხარეები. ადგილზე გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ შენიშვნა ნაწილობრივ არის აღმოფხვრილი, განახლებული შეფასების გამოკითხვაში კვლავ არ ჩანს ინსტრუქტორის ძლიერი და სუსტი მხარეები.
შენიშვნა	ინსტრუქტორების შეფასება ხორციელდება ელექტრონული პლატფორმით, მსმენელების მიერ არ ხორციელდება სრულფასოვნად და საკმარისი რაოდენობრივი შეფასება, რათა განხორციელდეს ინსტრუქტორების შეფასების სრულფასოვანი შედეგის მიღება, მიგვაჩნია რომ ინსტრუქტორების შეფასება მსმენელებისგან განხორციელდეს ელექტრონული პლატფორმის საშუალებით, სანამ მსმენელი დაიწყებს შესაბამისი წვრთნისთვის განკუთვნილი ტესტის ჩატარებას.
შენიშვნა	დაწესებულების რისკის მართვის პროცესის (ნდ #2-02-11) მე-6 პუნქტის თანახმად, “რისკების რეესტრი”_ში (ნდ N 2-02-15) შეფასებული რისკის ალბათობისა და რისკის გავლენის დონეები არ მოდის თანხვედრაში ორგანიზაციის რისკის მართვის პროცესთან. რისკების რეესტრი (ნდN 2-02-15) საჭიროებს გადახედვას და რისკის მართვის პროცესის (ნდ N2-02-11) შესაბამისად გავლენისა და ალბათობის დონეების განსაზღვრას იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად.
რეკომენდაცია	მონიტორინგის დროს ვებ-გვერდზე შემოწმდა განთავსებული საზღვაო-საწვრთნელი კურსების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას/განახლებას. კურსების ჩამონათვალს დაემატოს შემოკლებული კურსების სახელწოდებები, რომლებიც აღიარებულია სააგენტოს მიერ.
რეკომენდაცია	დაწესებულებას საზღვაო-საწვრთნელი კურსების განხორციელებისთვის ხელშეკრულებით დასაქმებული ჰყავს 35 ინსტრუქტორი, ბოლო მონიტორინგიდან (22.09.2023) დღემდე აყვანილი ჰყავს 8 ახალი ინსტრუქტორი, ისინი სერტიფიცირებული არიან IMO Model კურსების 6.09 და 6.10 შესაბამისად. ინსტრუქტორების რომელიც ჩართული არიან მეზღვაურთა შეფასებასთან, აუცილებელია გაიარონ შესაბამისი კურსი <u>IMO Model კურსი 3.12 (Assessment, Examination and Certification of Seafarers).</u>

	აღნიშნულთან დაკავშირებით ეძლევა რეკომენდაცია, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ინსტრუქტორებისთვის აღნიშნული კურსის ორგანიზება.
რეკომენდაცია	რეკომენდებულია, 2025 წლის მიზნების დასახვისას ყურადღება მიექცეს ყველა მიზნის სტანდარტის მიხევდით გაზომვადობას, მაგალითად, მე-4 მიზნის შემთხვევაში განისაზღვროს მიზნის მიღწევის ინდიკატორი.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აუდიტის შედეგად გამოვლინდა: 2- მეტწილი შესაბამისობა და 2- ნაწილობრივი შესაბამისობა:

მეტწილად შეესაბამება	მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებაში ფიქსირდება ჩანაწერი, სადაც პროფესიული სტუდენტი აცხადებს თანხმობას მისი მონაცემების დამუშავების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებიდან გამომდინარე უმჯობესია გაჩნდეს ჩანაწერი, რითაც სტუნდენტი განაცხადებს თანხმობას კოლეჯში დაცული მისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და ფოტომასალა გასაჯაროვდეს კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე.
მეტწილად შეესაბამება	შემოწმდა განხორციელებული პროფესიული სტუდენტების მიერ ზოგადი კმაყოფილების კვლევა (დაწესებულება და პროფესიული მასწავლებელი). პროცესის გაუმჯობესებისთვის უმჯობესი იქნება პროფესიული მასწავლებლების შეფასება მოხდეს ცალკე/დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში უკუკავშირი სტუდენტების მხრიდან იქნება უფრო ობიექტური. უმჯობესია, პროცესზე პასუხიმგებელმა პირმა(ებმა) წინასწარ განსაზღვროს პროფესიული მასწავლებლის შეფასების ეტაპები.
ნაწილობრივ შეესაბამება	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ნდ N 2-03-01ქ (2023 წლის 31 იანვრის დირექტორის ბრძანება N00000746) შესაბამისად, კალენდარულ გეგმას შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, რომელიც განიხილავს და ვალიდაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. აღნიშნული პროცესი დასტურდება აუდიტზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით (პროფესიული პროგრამის დამტკიცებული კალენდარული გეგმა), თუმცა წარმოდგენილ გეგმებზე არ ფიქსირდებოდა პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები.
ნაწილობრივ შეესაბამება	ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ ფიქსირდებოდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა. ასევე, პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულებაში ფიქსირდება ჩანაწერი, სადაც პროფესიული მასწავლებელი აცხადებს თანხმობას მისი მონაცემების დამუშავების შესახებ, თუმცა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებიდან გამომდინარე უმჯობესია გაჩნდეს ჩანაწერი, რითაც მასწავლებელი განაცხადებს თანხმობას კოლეჯში დაცული მისი ინფორმაცია/დოკუმენტაცია და ფოტომასალა გასაჯაროვდეს კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე.

გამოვლენილი შეუსაბამობების მაკორექტირებელი ქმედება, შესრულების ვადები და შესრულების სტატუსი განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ მოდულზე. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის აუდიტის შედეგად გამოვლენილი ყველა შეუსაბამობა, შენიშვნა და რეკომენდაცია სრულად **აღმოფხვრილი** და **გათვალისწინებულია.**

სასერტიფიკატო ორგანოს სამეთვალყურეო აუდიტი

2024 წლის 20 ივნისს სასეერთიფიკატო ორგანი **„QSCert“-ის** აუდიტორების მიერ ჩატარდა შპს სსსც ეკვატორის შემოწმება ISO 9001:2015 სტანდარტის შესაბამისობაზე. შემოწმების შედეგად გამოვლინდა 2 ნაკლებად მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, რომლებზეც გაკეთებულია მაკორექტირებელ ქმედებათა გეგმა.

შენიშვნა	2023 წელს გარე აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმა არ არის შემუშავებული
შეუსაბამობა	2023 წლის ანალიზი არ ითვალისწინებს სერტიფიკაციის ორგანოს გამოცვლას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური მონიტორინგი

11,12,13 ნოემბერს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 01.11.2024 წლის N 1409308 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შპს "საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის" მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური" 31-ე მუხლის - 2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები, შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში შემოწმება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის შესაბამისად: გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელებსა და განმახორციელებლებს.

ექსპერტების მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2019 წელს რეავტორიზაციის გავლის შემდეგ, კოლეჯს მოპოვებული აქვს ორი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: **გემბანის რიგითი მეზღვაურის** და **სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის** მესამე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური აღჭურვილობა.

გამოვლინდა ხარვეზი:

- ✓ 5.1.2.1. ინდიკატორის მოთხოვნა არაა დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცული არ არის უსაფრთხოების ზომები, ვინაიდან დაწესებულებას ქ. ბათუმში ბათუმგორის ჩიხი 2-ში განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე არ აქვს სახანძრო უსაფრთხოებისა და მდგრადობის შესახებ კომპეტენტური ორგანოს დასკვნები.

აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ გამოიჩინა მყისიერი მზაობა. დაწესებულებამ უკვე წერილობით მიმართა შესაბამის ორგანოებს, კერძოდ:

1)სსიპ -ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, მიმდინარე წლის 9 დეკემბერს, შენობის მდგრადობის განსაზღვრის მიზნით უკვე მოავლინა ექსპერტი, რომელმაც ჩაატარა შესაბამისი კვლევები და სიტყვიერად აღნიშნა, რომ შენობა-ნაგებობა მდგრადია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუმცა ველოდებით ოფიციალური დასკვნის დოკუმენტს, ასევე ექსპერტთან შეთანხმებით განისაზღვრა საჭირო ფინანსური რესურსი;

2) დაწესებულებამ ასევე წერილობით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების დადგენის მიზნით.

გამოვლინდა განმავითარებელი რეკომენდაციები:

- ✓ 1.1.1.4. სასურველია დაწესებულებამ ოქმების შედგენისას სრულყოფილად გაწესოს და ასახოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მათზე შესაბამისი მსჯელობა.
- ✓ 2.3.1.1. სასურველია დაიხვეწოს და განვითარდეს კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული კითხვარები.
- ✓ 3.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის უფლებების შესახებ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები სრულყოფილად გაწეროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა ქცევებთან დაკავშირებული წესები კი ასახოს შინაგანაწესში და თავიდან აიცილოს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში საკითხების რეგულირების სხვადასხვა ინტერპრეტაციით დუბლირება;
- ✓ 3.1.1.3. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სააპელაციო კომისიაში სასურველი არ არის შედიოდეს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომლის მოვალეობაც არის კოლეჯის ყველა პროცესის შეფასება, რეკომენდაციების მომზადება და განვითარება;
- ✓ 3.1.1.5. სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში დაწესებულებამ ნათლად და მკაფიოდ განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა და მასში ჩართული პირების ფუნქციები;
- ✓ 3.2.1.4. სასურველია დაწესებულებაში გაწერილი იქნას წესის სახით პროფესიული სტუდენტების მხრივ დამატებითი/არაფორმალური აქტივობების ჩატარების საკითხის დაყენებისა და დაფინანსების მიღების პროცედურები;
- ✓ 4.1.1.1. სასურველია დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს შინაგანაწესი, დებულება და სტრუქტურა, კერძოდ, ტერმინებთან მიმართებაში (დამფუძნებელი თუ პარტნიორთა კრება, პედაგოგიური საბჭო თუ სასწავლო საწვრთნელი ცენტრი). ასევე, სტრუქტურულ სქემაში დაემატოს ექიმის პოზიცია;
- ✓ 4.1.1.2. სასურველია ყველა სტრუქტურული ერთეულის სამუშაო აღწერის დოკუმენტის შემუშავება, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა;
- ✓ 4.1.2.1. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეებში საკუთარი მარეგულირებელი წესებით მოთხოვნილი ყველა აუცილებელი დოკუმენტის განთავსება და პირადი საქმეების მოწესრიგება;

- ✓ 4.1.2.3. - კოლეჯმა განახორციელოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების გადახედვა და ისე განახორციელოს პოზიციებზე პერსონალის აყვანა; - შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის პოზიციაზე მიღებული პირის პირად საქმეში ჩაიდოს სახელობო განათლების საბაზო პროფესიულ განათლებასთან გათანაბრების დოკუმენტი;
- ✓ 4.2.1.2. სასურველია ტრენინგების თემატიკის მრავალფეროვნება და ტრენინგების გარდა სხვა აქტივობების განხორციელება მაგ. პანელური დისკუსიები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა;
- ✓ 5.1.1.6. სასურველია დაწესებულებამ მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული მოქმედი მარეგულირებელი აქტების საფუძველზე ჩამოაყალიბოს ერთი დოკუმენტი, რომელშიც სრულად გაიწერება მატერიალური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა;
- ✓ 5.2.1.2. დაწესებულებამ სასურველია ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების მართვის წესი გადაამუშავოს, შეივსოს და განვითაროს არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე.
- ✓ 5.2.3.1. დაწესებულებამ სასურველია უზრუნველყოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ლოგიკური დაჯგუფება დაინტერესებული მხარეებისთვის მარტივად ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის მიღების მიზნით. პროგრამული სტანდარტისთვის.

აღნიშნულ რეკომენდაციებზე მუშაობა დაწესებულებაში უკვე დაიწყო. აქტიურად მიმდინარეობს მარეგულირებელ დოკუმენტთა გადახედვა, დახვეწა და 2025 წლის საავტორიზაციო პერიოდს კოლეჯი შეხვდება მომზადებული.

2023-2024 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები

2024 სასწავლო წლისთვის დაწესებულებაში, პროფესიულ პროგრამებზე მიღება განხორციელდა ორ ეტაპად: საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებები. ამ ეტაპისთვის ირიცხება **278** აქტიური პროფესიული სტუდენტი, 140 - გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, 138 - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრმაზე. ამათგან:

2023 წლის მიღება		
გემბანის რიგითი მეზღვაური	65	სულ **278** აქტიური პროფესიული სტუდენტი
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	106	
სტატუსშეჩერებული	2	
2024 წლის საგაზაფხულო მიღება		
გემბანის რიგითი მეზღვაური	36	
სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	32	
სტატუსშეჩერებული	1	
2024 წლის საშემოდგომო მიღება		
გემბანის რიგითი მეზღვაური	39	

დიპლომირება

2024 წელს სსსც ეკვატორის **105** პროფესიულ სტუდენტს მიენიჭა საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია (ბრძანება №1243 / 07.02.2024)

მინიჭებული კვალიფიკაცია	
საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია	33 კურსდამთავრებული
გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია	72 კურსდამთავრებული

მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი

„სსსც ეკვატორის“ სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ახორციელებს მოქმედი და დამწყები მეზღვაურებისთვის წვრთნისა და სერტიფიცირების კურსებს, STCW საერთაშორისო კონვენციის, ,,მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ” საქართველოს კანონის, ,,მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ” კანონის შესაბამისად შესაბამისად.

2024 წელს განახლდა შემდეგი **7** მოდელ-კურსები:

აღიარებული მოდელ -კურსების რეესტრი			
ნ/დ	მოდელ-კურსის დასახელება	აღიარების თარიღი	მოქმედების ვადა
2-09-01	ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციული სისტემების (ეკმდის) გამოყენება	14.05.2024	14.05.2026
2-09-02	რადიოლოკაციური ნაოსნობა, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენება	14.05.2024	14.05.2026
2-09-06	ინერტული აირების სისტემის გამოყენება	05.07.2024	05.07.2026
2-09-11	ხანძართან ბრძოლის ხმელეთზე განლაგებული ტრენაჟორული წვრთნა	23.12.2024	23.12.2026
2-09-16	ქიმმზიდი ტანკერის სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა	12.01.2024	12.01.2026
2-09-28	ნავთობმზიდი ტანკერის სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვა	30.12.2024	30.12.2026
2-09-29	ნედლი ნავთობით რეცხვის სისტემა	05.07.2024	05.07.2026
2-09-33	მგზავრების უსაფრთხოების, ტვირთის უსაფრთხოებისა და გემის კორპუსის სიმტკიცის უზრუნველყოფა	27.05.2023	27.05.2025

2024 წლის მდგომარეობით მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში, წვრთნისა და სერტიფიცირების კურსები გაირა **1295** მსმენელმა.

2024 წელს განხორციელდა **903** მოდელ-კურსი.

მსმენელი	1295
კურსი	903

მეზღვაურთა საიდენტიფიკაციო ნომრების რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონული პროგრამის მეშვეობითაც.

სისტემატიურად ვაახლებთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სასწავლო-საწვრთნელ საშუალებებს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს რეკომენდაციების შესაბამისად.

ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა მომსახურება

2024 წელს „სსსც ეკვატორში “დასაქმდა 11 პერსონალი:

- 7 ინსტრუქტორის პოზიციაზე;
- 3 პროფესიული პედაგოგის პოზიციაზე;
- 1 ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციაზე.

2024 წლის განმავლობაში HR მენეჯერის ორგანიზებით და ტრენინგ გეგმის შესაბამისად გაიმართა ? ტრენინგი, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით.
2024 წელს ჯამში გადამზადდა 27 თანამშრომელი, რაც საერთო რაოდენობის 37%-ს შეადგენს.



წლის განმავლობაში თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით გაიცა პრემია-დანამატები, ჯამში 2730 ლარის ოდენობით; გაიზარდა პედაგოგების საათობრივი ანაზღაურება.

დაწესებულებაში დანერგილია **პერსონალის შეფასების პროცედურა,** რომლის მიზანია ,- თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასების უზრუნველყოფა და მასზე დაყრდნობით პერსონალის განვითარების საჭიროების, წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა.

შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ, წლის ბოლოს. (ახალი სამოქმედო გეგმის შედგენამდე) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას.

	შეფასებულთა საერთო რაოდენობა	მაღალი შეფასების მქონე პირი	საშუალო შეფასების მქონე პირი	დაბალი შეფასების მქონე პირი
ადმინისტრაციული პერსონალი	12	9	3	0
პროფესიული მასწავლებლები	11	8	3	0
ინსტრუქტორები	13	13	0	0

ბიბლიოთეკა

„სსსც ეკვატორის “ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების პროცესის მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტებისთვის, სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრის მსმენელებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ინსტრუქტორებისთვის. ბიბლიოთეკა სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესის ეფექტიანად ხელშეწყობის მიზნით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი სისტემატურად განახლდება და შეივსება. ის აღჭურვილია პროფილური სასწავლო და ტექნიკური ლიტერატურით ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ლიტერატურის შეძენა და განახლება ხდება ინსტრუქტორებთან და პროფესიულ მასწავლებლებთან შეთანხმებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 734 წიგნს.

საანგარიშო პერიოდში მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების ცალკეული მოდულების საჭირო სასწავლო რეესტრის გაკეთება და გადამოწმება ბიბლიოთეკაში. ყველა საჭირო რესურსი უკვე შეძენილი აქვს დაწესებულებას. 2024 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გაიზარდა მხოლოდ 2 % პროცენტით.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღწერილია წიგნთა ფონდის საინვენტარო ჟურნალში 07-02 (მფ2N030-01.31.08.09).

ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული კატალოგი.

„სსსც ეკვატორი“ დარეგისტრირებულია საზღვაო ლიტერატურის საერთაშორისო საიტებზე, საიდანაც ხდება საჭირო ლიტერატურის შესყიდვა.

- https://shop.witherbys.com/
- https://novikontas.lv/en/
- https://www.amazon.com/
- https://www.thriftbooks.com/
- https://www.funnel2tunnel.com/

საქმისწარმოება

სსსც ეკვატორის დირექტორის მიერ ბრძანებით N 11366 დამტკიცებული ნორმატიოული დოკუმენტი “საქმისწარმოების წესი 2-01-05" განსაზღვრავს კოლეჯში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. კანცელარიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს დოკუმენტ-ბრუნვასთან დაკავშირებული სამუშაოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი.

„სსსც ეკვატორში“ დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზება წარმოებს ელექტრონული ფორმით (E FLOW), რაც გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, რეგისტრაციას, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას და ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას.

დაწესებულებამ 2024 წელს ეფექტურად უზრუნველყო დაწესებულების საქმისწარმოების ორგანიზება და კოორდინაცია. წლის განმავლობაში დამუშავდა შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:



2024 წლის ხარისხის მიზნების შესრულების ანალიზი

„სსსც ეკვატორის“ პოლიტიკიდან გამომდინარე ხარისხის მენეჯმენტის მუდმივი გაუმჯობესებისათვის შპს „სსსც ეკვატორის’’ ადმინისტრაციის მიერ შედგენილი მიზნების ანალიზი ასე გამოიყურება:

2024 წლის მიზნები:	შესრულების მაჩვენებელი:
ხარისხის სისტემის დოკუმენტაციის განახლება 20%-ით;	განახლდა 31%-ით; იხ. გვერდი 6; ‘’საანგარიშო პერიოდში ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები’’;
ბიბლიოთეკის ფონდის გაზრდა 5 %-ით;	გაიზარდა 5%-ით; იხ. გვერდი 16; ‘’ბიბლიოთეკა’’;
პერსონალისა და ინსტრუქტორ-მასწავლებლების 30%-ის კვალიფიკაციის ამაღლება;	შესრულდა 38%-ით; იხ. გვერდი 15. ‘’ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა მომსახურება’’

კვლევები

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე პროცესების სისტემური შეფასება, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა, განხორციელება. ეს პროცესი ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს (PDCA), რაც გულისხმობს შემდეგს:

- **PLAN** (დაგეგმე)
- **DO** (განახორციელე)
- **CHECK** (შეამოწმე)
- **ACT** (იმოქმედე/განავითარე)

2024 წელს დაწესებულებაში განხორციელდა გამოკითხვა 9 მიმართულებით:

- ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი;
- პროფესიული სტუდენტების კითხვარი;
- პროფესიული მასწავლებლების კითხვარი;
- კურსდამთავრებულთა კითხვარი;
- საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა კითხვარი;
- საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორთა კითხვარი;
- ხარისხის მართვის სისტემის საქმიანობის შეფასება;
- დამსაქმებლის კითხვარი;
- მომწოდებლების შეფასება;

ადმინისტრაციული პერსონალის კითხვარი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ადმინისტრაციის პერსონალის თვალსაზრისით დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობის, სამუშაო გარემოსა და პირობების, პერსონალის განვითარების ხელშეწყობის, საქმიანობის შეფასებისა და წახალისების მექანიზმების, დროული ინფორმირების ხარისხისა და შიდა კომუნიკაციის სისტემის შეფასება. კვლევის საფუძველზე იგეგმებოდა ორგანიზაციული ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, ასევე მიზნობრივი გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციის 17 თანამშრომელმა. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პერსონალის უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ:

- ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საჭირო მატერიალური რესურსებით;
- პერსონალი ინფორმირებულია საქმიანობის შეფასებისა და წახალისების შიდა მექანიზმების შესახებ;
- სამუშაო გარემო და პირობები შეფასებულია დადებითად;
- დაწესებულება სისტემატურად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე და გეგმავს ტრენინგებს მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა გარკვეული გაუმჯობესების საჭიროებები. კერძოდ:

- ერთი თანამშრომელი არ იყო ინფორმირებული პერსონალის წახალისების მექანიზმებზე;
- ორი თანამშრომელი ვერ ადასტურებს დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების ცოდნას.

რეკომენდაციები:

- შიდა ტრენინგების სისტემის გაძლიერება;
- დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკის, მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა ადმინისტრაციული პერსონალისთვის შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრებისა და/ან საინფორმაციო მასალების საშუალებით.

აღნიშნული საჭიროებების აღმოსაფხვრელად შესაბამისი აქტივობები აისახება 2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში.

პროფესიული სტუდენტების კითხვარი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების დონის შეფასება შემდეგი მიმართულებით:

- სასწავლო პროგრამების ხარისხი და მათი განხორციელების ეფექტიანობა;
- პროფესიული მასწავლებლების საქმიანობა;
- სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხელმისაწვდომობა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა;
- ადმინისტრაციული პერსონალის მომსახურების ხარისხი.

აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, არსებულ ხარვეზთა იდენტიფიცირების და საჭირო სამოქმედო ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით.

მონაწილეთა რაოდენობა:
კვლევაში მონაწილეობა მიიღო 137-მა პროფესიულმა სტუდენტმა.

ძირითადი შედეგები:
სტუდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს:

- კოლეჯის ინფრასტრუქტურასა და სასწავლო გარემოს;
- სასწავლო რესურსებს;
- პროფესიული სწავლების ხარისხსა და
- ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხს.

გამოყოფილი გამოწვევები:

- **სტატუსთან დაკავშირებული საკითხები:**
  14 სტუდენტი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას პროფესიული სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის პროცესებთან დაკავშირებით.

- **სწავლების ორგანიზება:**
  2 სტუდენტისთვის სასწავლო ცხრილები და გრაფიკები მიუღებელია.
- **კომუნიკაცია და უკუკავშირი:**
  1 სტუდენტი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელთან კომუნიკაცია და კონსულტაცია არ არის უზრუნველყოფილი.
  2 სტუდენტი არ ადასტურებს, რომ მასწავლებელი ახსნის შემდეგ ცდილობს გაიგოს, რამდენად კარგად გაიაზრეს მასალა.
  3 სტუდენტი არ ფლობს ინფორმაციას შეფასების პრინციპებსა და მექანიზმებზე.
- **ბიბლიოთეკის გამოყენება:**
  32 სტუდენტი არ სარგებლობს კოლეჯის ბიბლიოთეკით, ხოლო 4 სტუდენტი აღნიშნავს, რომ საბიბლიოთეკო რესურსი მისთვის ხელმისაწვდომი არ არის.
- **კარიერული კონსულტაცია:**
  4 სტუდენტი აცხადებს, რომ ადმინისტრაციისგან არ მიუღია კონსულტაცია დასაქმებისა და კარიერული განვითარების საკითხებზე.
- **ადმინისტრაციული მომსახურება:**
  9 სტუდენტის შეფასებით, ადმინისტრაციული პერსონალი არ უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციის შესაბამის მომსახურებას.

რეკომენდაციები:

1. **კარიერული განვითარების ხელშეწყობა:**
   გაძლიერდეს სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, მათ შორის საინფორმაციო სესიები და ინდივიდუალური კონსულტაციები.
2. **ცნობიერების ამაღლება:**
   გაიმართოს დამატებითი შეხვედრები სტუდენტებთან პროფესიული სტატუსის მართვის მექანიზმების (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, მობილობა) გაცნობის მიზნით.
3. **შეფასების გამჭვირვალობა:**
   დაგეგმდეს ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები შეფასების პოლიტიკისა და მექანიზმების გასაცნობად.
4. **ბიბლიოთეკის რესურსების პოპულარიზაცია:**
   ჩატარდეს დამატებითი შეხვედრები ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებისა და არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით.
5. **ადმინისტრაციული მომსახურების გაუმჯობესება:**
   შეირჩეს და განხორციელდეს შესაბამისი ტრენინგები ადმინისტრაციული პერსონალისთვის მომსახურების ხარისხის ამაღლების მიმართულებით.
6. **მასწავლებელთა გადამზადება:**
   გადაისინჯოს პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების საჭიროებები და დაიგეგმოს მათთვის მიზნობრივი გადამზადება სწავლებისა და უკუკავშირის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

პროფესიული მასწავლებლების კითხვარი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მასწავლებლების მხრიდან ადმინისტრაციის საქმიანობის, რესურსების ხელმისაწვდომობის, სამუშაო გარემოსა და პირობების შეფასება, ასევე ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-მა პროფესიულმა მასწავლებელმა. მონაცემების ანალიზმა წარმოაჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანი საჭიროება, მათ შორის:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის საკითხზე შიდა ტრენინგის ჩატარება;
- პერსონალის შეფასებისა და წახალისების შიდა მექანიზმების შესახებ მასწავლებელთა ინფორმირების უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობა პროფესიული სტუდენტების აკადემიური წარმატების მხარდაჭერის მიზნით.

აღნიშნული საჭიროებების საპასუხოდ, შესაბამისი ღონისძიებები ასახული იქნება 2025 წლის სამოქმედო გეგმაში.

კურსდამთავრებულთა კითხვარი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა კურსდამთავრებული სტუდენტების მოლოდინებისა და მათი კმაყოფილების შეფასება, რომელიც მიმართულია პროფესიული პროგრამის ეფექტიანობისა და სწავლის შედეგების ანალიზისკენ.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 72-მა კურსდამთავრებულმა. აღსანიშნავია, რომ მათგან 52%-ზე მეტი უკვე დასაქმებულია შესაბამის პროფესიულ სფეროში, რაც სწავლების პრაქტიკული შედეგიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროფესიული პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და უნარები პასუხობს დამსაქმებლის საჭიროებებს. მიუხედავად ამისა, შეფასებებში გამოიკვეთა გარკვეული ასპექტები, რომელთა გაუმჯობესება მიზანშეწონილია:

- **სწავლების ხარისხი**: 1 კურსდამთავრებული აღნიშნავს, რომ საჭიროებს გაუმჯობესებას, 4 კი პასუხობს – მეტნაკლებად საჭიროებს.
- **პროფესიული მასწავლებლის კომპეტენცია**: 2 კურსდამთავრებულის შეფასებით საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 2 აღნიშნავს, რომ მეტნაკლებად საჭიროებს.
- **პრაქტიკული კომპონენტის სწავლება**: 3 კურსდამთავრებულის შეფასებით საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 3 პასუხობს – მეტნაკლებად საჭიროებს.
- **სასწავლო გარემო**: 1 კურსდამთავრებული აღნიშნავს, რომ საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო 2 – მეტნაკლებად საჭიროებს.

აღნიშნული დაკვირვებების საფუძველზე, დგინდება საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება 2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში, შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების დასაგეგმად.

საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა კითხვარი:

კვლევის მიზანია საწვრთნელი ცენტრის მსმენელთა კმაყოფილების შეფასება სწავლების ხარისხის, რეგისტრაციის პროცესის, სასწავლო გარემოსა და მომსახურების ხარისხის მიმართულებით. კვლევა ხელს უწყობს ცენტრში განხორციელებული მომსახურების ეფექტიანობის შეფასებას და სისტემის გაუმჯობესების მიზნით საჭიროებების იდენტიფიცირებას.

გამოკითხვაში მონაწილე მსმენელთა უმრავლესობა დადებითად აფასებს სასწავლო პროცესს, ინფრასტრუქტურასა და ინსტრუქტორთა პროფესიონალიზმს. მათი შეფასებით, სასწავლო პროგრამები ხარისხიანად არის შედგენილი, ხოლო მომსახურება ორგანიზებულია ეფექტურად.

მიუხედავად საერთო პოზიტიური შეფასებისა, კვლევამ გამოავლინა რამდენიმე გასაუმჯობესებელი ასპექტი:

- კითხვაზე – „პასუხობს თუ არა სასწავლო პროგრამები და სილაბუსები მეზღვაურისთვის საჭირო სწავლებას“ – **7 მსმენელი** პასუხობს **„ნაწილობრივ“**;
- კითხვაზე – „გამოგიყენებიათ თუ არა „ეკვატორში“ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა რეალურ სამუშაო გარემოში“ – **20 მსმენელი** პასუხობს **„ნაწილობრივ“**.

აღნიშნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი ღონისძიებები გაიწერება **2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში**, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების შინაარსობრივი დახვეწა, რეალურ საჭიროებებთან უკეთესი შესაბამისობა და სწავლების შედეგების ეფექტური პრაქტიკული გამოყენებადობა.

საწვრთნელი ცენტრის ინსტრუქტორთა კითხვარი:

ინსტრუქტორთა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო **15 პედაგოგიურმა პერსონალმა.** კვლევის მიზანი იყო ინსტრუქტორთა პროფესიული მზაობის, სწავლების პროცესის ეფექტიანობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შეფასება.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ცალსახად გამოიკვეთა, რომ **ყველა ინსტრუქტორს გავლილი აქვს შესაბამისი კურსები მეზღვაურთა შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით**. მათ შორის მაღალია პროფესიული მოტივაცია, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ისე სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

ინსტრუქტორთა შეფასებით, **საწვრთნელი ცენტრი სრულად უზრუნველყოფილია მოდელ-კურსების მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით**. გარდა ამისა, **ყველა ინსტრუქტორს აქვს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება სიმულატორთა გამოყენების მიმართულებით**, რაც უზრუნველყოფს სიმულატორზე დაფუძნებული კურსების ეფექტიან დაგეგმვასა და ჩატარებას.

მიუხედავად პოზიტიური მიგნებებისა, **გამოკითხულთა 46% აღნიშნავს საჭიროებას დამატებითი ტრენინგ-კურსების ჩატარების თაობაზე**, რაც უკავშირდება სწავლების კიდევ უფრო მაღალი ხარისხით წარმართვის მიზანს.

აღნიშნული საჭიროება აისახება **2025 წლის სამოქმედო და ტრენინგ გეგმაში**, რათა მოხდეს ინსტრუქტორთა კომპეტენციების კიდევ უფრო გაძლიერება და სწავლის პროცესის უწყვეტი გაუმჯობესება.

ხარისხის მართვის სისტემის საქმიანობის შეფასება:

აღნიშნულ კითხვარს უპასუხა **40 თანამშრომელმა**, რაც წარმოადგენს **პერსონალის საერთო რაოდენობის 60 პროცენტს**. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **პერსონალის უდიდესი ნაწილი კმაყოფილია ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობით**.

თუმცა, ღია კითხვებზე დაფიქსირებული მოსაზრებების საფუძველზე გამოიკვეთა **საჭიროებები გადამზადებისა და ტრენინგების მიმართულებით**, კერძოდ:

- სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ;
- აუდიტორიასთან ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკებზე;
- კალენდარული გეგმის სწორად შედგენაზე.

აღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება **2025 წლის სამოქმედო და ტრენინგ-გეგმებში**, რაც მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ხარისხის მართვის სისტემის კიდევ უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას.

კითხვაზე: **„ხარისხის მართვის სამსახურის მხრიდან რა დამატებითი სერვისი გაზრდიდა პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების კმაყოფილების ხარისხს“**, უმრავლესობამ ყურადღება გაამახვილა:

- შიდა მხარდაჭერის ჯგუფების რეგულარული შეხვედრების საჭიროებაზე;
- დარგის სპეციალისტების მიერ გამოცდილების სისტემატურ გაზიარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის განმავლობაში სტანდარტებისა და რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა შიდა შეხვედრები, **პერსონალის გამოხმაურებების საფუძველზე 2025 წელს დაგეგმილია აღნიშნული შეხვედრების სიხშირის ზრდა**, რაც მკაფიოდ აისახება **დაწესებულების სამოქმედო გეგმაში**.

დამსაქმებლის კითხვარი:

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს დამსაქმებელთა კმაყოფილების დადგენა, კერძოდ – შეფასდეს, თუ რამდენად შეესაბამებიან **“საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის“** კურსდამთავრებულები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, გააჩნიათ თუ არა მათ შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები დასაქმებისთვის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო **10 საკრუინგო კომპანიამ**. გამოკითხულთა ერთსულოვანი პოზიციით, ცენტრის კურსდამთავრებულები სრულად აკმაყოფილებენ სამუშაო პროცესისთვის საჭირო **თეორიული საფუძვლებისა** და **პრაქტიკული უნარების** მოთხოვნებს.

ყველა დამსაქმებელი დადებითად აფასებს კურსდამთავრებულთა პროფესიულ მზაობას და ადასტურებს **თანამშრომლობის გაგრძელების მზადყოფნას**, რაც ასევე გულისხმობს კურსდამთავრებულთა **დასაქმების ხელშეწყობას** მათი კომპანიის ფარგლებში.

აღნიშნული შეფასებები წარმოადგენს მკაფიო ინდიკატორს დაწესებულების სასწავლო პროგრამების ეფექტიანობისა და საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

მომწოდებლების შეფასება:

აღნიშნული კვლევის მიზანია მომწოდებელთა მომსახურების ხარისხისა და მათ მიერ მოწოდებული სახარჯი მასალებისა და ინვენტარის შეფასება. შეფასება მოიცავს როგორც ცეცხლმაქრობი საშუალებების (ქაფოვანი, ნახშიროჟანგის, ფხვნილოვანი), ასევე სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქტების, საკანცელარიო ნივთებისა და ტექნიკური აღჭურვილობების ხარისხსა და დროულ მოწოდებას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო **31-მა თანამშრომელმა**. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა **კმაყოფილია მომწოდებელთა მომსახურებითა და მოწოდებული მასალების ხარისხით**, თუმცა გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელთა გაუმჯობესებაც მიზანშეწონილად მიიჩნევა:

- **ცეცხლმაქრობი საშუალებების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება** – მონაწილეთა **19%** აღნიშნავს, რომ საჭიროებს;
- **სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების ხარისხის გაუმჯობესება** – **29%** მიიჩნევს, რომ საჭიროებს;
- **საკანცელარიო ნივთების გაუმჯობესება** – **29%** პასუხობს დადებითად;
- **ტექნიკური აღჭურვილობის ხარისხის გაუმჯობესება** – **26%** მიიჩნევს საჭიროდ.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე დაგეგმილია **შესაბამისი კორექტული ღონისძიებების განხორციელება**, რაც აისახება **2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში**. მიზანი არის მომწოდებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, ხარისხის კონტროლის მექანიზმების გამკაცრება და თანამშრომელთა საჭიროებებზე უკეთ მორგებული რესურსების უზრუნველყოფა.

2024 წლის რისკების შეფასება

„სსსც ეკვატორის“ ხელმძღვანელობამ, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში, ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობით, განახორციელა რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება დოკუმენტით „რისკების რეესტრი 2024“ (ნდ2-02-15). განხორციელებული ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა სულ 12 სახის მოსალოდნელი რისკი, რომელთათვისაც განისაზღვრა შესაბამისი რისკების მენეჯმენტის სტრატეგიები, შემცირების/შერბილების ზომები და პასუხისმგებელი მფლობელები (risk owners).

„სსსც ეკვატორის“ ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები, რომ მაქსიმალურად აერიდებინა რისკის დაშვება.

გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, 2024 წლის განმავლობაში არცერთი იდენტიფიცირებული რისკი არ დამდგარა, რაც ადასტურებს დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობასა და სისტემურ მიდგომას.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები:

- მრავალწლიანი ტრადიცია და გამოცდილება, სტაბილურობა და მდგრადობა, სიახლეებისადმი ღიაობა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (ხარისხის საერთაშორისო ISO 9001:2015 მოთხოვნებთან შესაბამისობის, IQNet-ის და დარგობრივი შემოწმებების/დადასტურების სერტიფიკატები);
- საზღვაო სფეროში „სსსც ეკვატორის “საქმიანობის საერთაშორისო აღიარება. საზღვაო სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების და მომზადება/გადამზადების კურსების IMO-ს სტანდარტებთან შესაბამისობა, მაღალი მოთხოვნადობა და კონკურენტუნარიანობა;
- „სსსც ეკვატორის“ თანასაზოგადოების გაზიარებული მისია, რომელიც მოიცავს განათლებისა და სერტიფიცირების სფეროს მიდგომებს ხარისხისადმი, კორპორაციულ კულტურის და ეთიკის პრინციპებს.
- ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემა;

- მართვის გამჭვირვალე მეთოდები. ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მართვის რაციონალური კომბინაცია. „სსსც ეკვატორის“ მართვაში და სხვადასხვა კომისიებში პერსონალის და სწავლების სუბიექტთა ჩართულობა. მოქნილი სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების გამართული მუშაობა;
- საქმიანობის გამჭვირვალობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- პოზიტიური გარემო. სწავლისა და შრომისათვის შექმნილი კეთილმოწყობილი, უსაფრთხო და კეთილმოწ-ყობილი „ფიზიკური გარემო “. საგანმანათლებლო საქმიანობის სათანადო უზრუნველყოფა;
- სწავლების სუბიექტზე ორიენტირებული გარემო, მათი ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინება, განათლების მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და ადმი-ნისტრაციული მხარდაჭერის სერვისები, სოც. მხარდაჭერის და წახალისების მოქმედი მექანიზმები;
- „სსსც ეკვატორის“ ყველა წევრის განვითარებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. უწყვეტი განათლების და განვითარების შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე (ძირითადად საზღვაო ტრანსპორტის სფეროს საგანმანათლებლო პროგ-რამები) და სასწავლო-საწვრთნელ კურსებზე სტაბილური მოთხოვნადობის შენარჩუნება. კურსდამთავრე-ბულთა და სასწავლო-საწვრთნელი კურსების მსმენელების კონკურენტუნარიანობა და დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- „სსსც ეკვატორის“ საერთაშორისო საზღვაო დარგში არსებულ მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირება;
- „სსსც ეკვატორის“ ფუნქციონირებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური რესურსების არსებობა;
- კომპეტენტური, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერ-სონალი პერსონალის სტაბილურობა. პერსონალის მართვის სისტემა, პერსონალის განვითარების ხელშე-წყობა;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიო-თეკის რესურსებთან დისტანციური წვდომა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო და ავტომატიზირებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემები. მართვაში, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში საინფორ-მაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება;
- საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და დარგობრივ სივრცეში ინტეგრირება, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა;

რეგიონის ცხოვრებაში ჩართულობა. „სსსც ეკვატორის“ საზოგადოებრივი საქმიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა, საქმიანი ურთიერთობების ეთიკა, პოზიტიური იმიჯი და კონკურენტუნარიანობა.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- „სსსც ეკვატორის“ აკადემიური პერსონალის დაბალი აქტივობები;
- „სსსც ეკვატორის“ პერსონალის მიერ სხვადასხვა პროექტების მომზადების, სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის ტრეინინგების, მასტერ-კლასების და სხვ. მწირი რაოდენობა;
- პროფესიიდან გამომდინარე ინსტრუქტორების პედაგოგიური გამოცდილების ნაკლებობა;
- პერსონალის ნაწილის უცხო ენების და IT-ტექნოლოგიების ფლობის გასაუმჯობესებელი დონე;
- ბიბლიოთეკის ელ. ბაზის გამოყენების არასაკმარისი ეფექტიანობა. „სსსც ეკვატორის“ ერთიანი საინფორმაციო სივრცის გამოყენების გასაუმჯობესებელი დონე;
- საგანმანათლებლო საქმიანობაში ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების გამოყენების გასაუმჯობესებელი დონე;

გამომავალი მონაცემები

1. გადაიხედოს ხარისხის პოლიტიკა, ხარისხის მიზნები დაჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით;
2. გადაიხედოს დებულებები, ფუნდამენტალური პროცედურები და სამუშაო აღწერილობები;
3. შიდა რეგულაციების შესრულების მექანიზმის გაძლიერება;
4. გაუმჯობესდეს კოლეჯის რეკლამირება, პიარი.
5. პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მათი დონის შემცირების მექანიზმების გაძლიერება;
6. დაინტერესებული მხარეების მიზნობრივი კვლევების გამრავალფეროვნება;
7. პერსონალის განვითარების სამოქ. გეგმის შემუშავების და შესრულების მექანიზმების გაძლიერება;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ვერიფიკაციის მექანიზმების გაძლიერება;

შემოსული მონაცემის **(რომელიც ეყრდნობა ხარისხის სისტემის შიდა რეგულაციებით ჩატარებულ კვლევებს და მათ ანალიზს)** საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები და გასატარებელი ღონისძიებები, გაიწერება დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ამოცანებით, შესრულების ვადებით და პასუხისმგებელი პირებით.

კონფიდენციალურობა

„აღნიშნული ხმის ანალიზი წარმოადგენს შპს „ससც ეკვატორის “შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და განკუთვნილია მხოლოდ შიდა გამოყენებისთვის. დოკუმენტი არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გათვალისწინებულია შიდა აუდიტის, გარე აუდიტის ან ინსპექციური შემოწმების ფარგლებში, ISO 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.